ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7132346

ნომერი: AR11046433

თარიღი : 08.07.2024

გაცემის თარიღი : 16.07.2024

გაცნობის თარიღი : 16.07.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N91;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯანიაშვილი პ/ნ 01017033100
- თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 8 ივლისს №AR11046433 განცხადებით მომართა გიორგი ჯანიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 28 თებერვლის №6910663 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6833229 ბრძანებით, შეთანხმდა №01.13.04.017.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების III და IV ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული) და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 8 იანვრიდან 2025 წლის 8 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 28 თებერვლის №6910663 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6833229 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა გამორჩენილი კიბის უჯრედის და სადარბაზოს 1729.7 კვ.მ. ფართობი. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდა 17143.96 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად - 11249.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 2170.7 კვ.მ. აგრეთვე, შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 7 თებერვლის №AR11013750 განცხადებაზე წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ტექნიკური შეცდომის გასწორება ისევ 2024 წლის 8 იანვრის №6833229 ბრძანებაში, კერძოდ, განმცხადებელს ამჯერად სურს სსიპ საჯარო რეესტრის 2024 წლის 5 ივლისის №882024733182-09 გადაწყვეტილების საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.
სამსახურმა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დაადგინა, რომ გიორგი ჯანიაშვილის 2024 წლის 7 თებერვლის №AR11013750 განცხადებით მოთხოვნილ იქნა სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6833229 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობის დამატებასთან, ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული საერთო, საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების გასწორებასთან დაკავშირებით. სამსახურის 2024 წლის 28 თებერვლის №6910663 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6833229 ბრძანებაში მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 7 თებერვლის №AR11013750 განცხადებაზე წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
აღსანიშნავია, რომ სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6833229 ბრძანებით შეთანხმებული და სამსახურის 2024 წლის 28 თებერვლის №6910663 ბრძანებით ჩანაცვლებული გეგმები აბსოლუტურად იდენტურია, არ არის შეცვლილი (კორექტირებული). გასწორებულ გეგმებზე მხოლოდ ის ფართობებია დაზუსტებული, რომელიც 2024 წლის 7 თებერვლის №AR11013750 განცხადებით იყო მოთხოვნილი (სხვა ცვლილებების გარეშე). ამასთან, სამსახურის 2024 წლის 28 თებერვლის №6910663 ბრძანებაში მითითებულია, რომ აღნიშნული ბრძანება განიხილება სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6833229 ბრძანებასთან ერთად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 28 თებერვლის №6910663 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.